შპს „სენა-მედი“ ს/კ 202948819

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) 2021 წლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. **ზოგადი ინფორმაცია**

შპს სენა-მედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში თბილისში დიდუბე ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ, (რეგისტრაციის ნომერი 2/4-2185; 15/09/1999). რეგისტრაციის დღიდან საწარმოს სახელწოდება იყო შპს სენა-მედი. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქალაქი თბილისი ნინოშვილის ქ #66. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო ქალაქი სენაკი ჭყონდიდელის ქ #13. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირის მიერ. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საავამდყოფოების საქმიანობა.

შპს სენამედ-პლიუსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრი-
რებულია სსიპ საჯარა რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, (რეგისტრაციის ნომერი 25/05/2012). რეგისტრაციის დღიდან საწარმოს სახელწოდება იყო შპს სენამედ-პლიუსი. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქალაქი თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი ფალიაშვილის ქ #62ა. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო ქალაქი სენაკი ჭყონდიდელის ქ #13. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირის მიერ და იურიდიული პირის მიერ. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ჯანდაცვის სხვა საქმიანობები.

შპს არომა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარა რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, (რეგისტრაციის ნომერი 06/05/2015). რეგისტრაციის დღიდან საწარმოს სახელწოდება იყო შპს არომა. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქალაქი თბილისი ნაძალადევის რაიონი, ნაგომარის ქ. #38. საწარმო დაფუძნებულია იურიდიული პირების მიერ. საწარმოო 2021 წელს ეკონომიკურ საქმიანობას არ ანხორციელებდა.

შპს აგრო-ვესტ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარა რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, (რეგისტრაციის ნომერი 25/05/2017). რეგისტრაციის დღიდან საწარმოს სახელწოდება იყო შპს არომა. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქალაქი სენაკი, გია ნადარეიშვილის ქ. #7. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური და ურიდიული პირების მიერ. საწარმოს 2021 წელს ეკონომიკურ საქმიანობას არ ანხორციელებდა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მათი ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31

დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. საწარმომ პირველად 2018 წელს გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსსფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასსზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია მე-13 შენიშვნაში.

3. საღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამომაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში. პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს. სავაჭრო მოთხოვნები მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების გათვალისწინებით. სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

3.3 ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობები 1,4%, მანქანა დანადგარები 10-20%, ოფისის აღჭურვილობა 20-30%, ავეჯი და სხვა ინვენტარი 20-30%, სატრანსპორტო საშუალებები 10-20%, სამუშაო ინვენტარი 14-50%.

3.4 არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10 პროცენტი. თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. გახარჯული მარაგისთვით ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.6 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუშეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხადაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი

გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.10 მოგების გადასახადი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით. სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. **ამონაგები**

	2021 წ.	2020 წ.
სამედიცინი საქმიანობიდან მიღებული	8408856	4526049
იჯარა	27000	32580
საქონლის გაყიდვიდან	158671	0
ჯამი	8594527	4558629

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო ამონაგების სახით აღიარებულია 8594527 ლარი, რომელიც ჩართულია მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებში. პერიოდის განმავლობაში სამედიცინო ხელშეკრულებებიდან მიღებული სახელშეკრულებო ამნაგების განსასაზღვრად გამოიყენება პროცენტული შესრულების მეთოდი. დაუმთავრებელი ხელშეკრულებების შესრულების სტადიის განსაზღვრისთვის ყველაზე საიმედოდ ჩაითვალა და გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხათან მიმართებით.

6. სხვა ხარჯები

	2021 წ.	2020 წ.
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	0	5975
საკანცელარიო ხარჯი	23264	6680
საწვავის ხარჯი	0	2580
შეძენილი მომსახურეობა	366967	192506
სხვა დანარჩენი	6120	15059
ჯამი	396351	222800

7. ძირითადი საშუალებები

		დუავრებ მშენებლ	მანქანა დანადგ	სამედ აღჭურვ	ავეჯი ინვენტ	სატრანსპ საშუალებ	კომპიუტ ინვენტ	სულ
1 იანვარი	2021 წ.	1530598	42852	1352837	5620	464562	16040	3412509
შემოსვლა	2021 წ.	59842	0	418011	0	267664	0	745517
გასვლა	2021 წ.	0	0	0	0	158671	0	158671
31 დეკემბერი 2021 წ.		1590440	42852	1770848	5620	573555	16040	3999355
2021 წ. წლიური ცვეთა		0	8570	266594	1124	61957	3208	341453
31 დეკემბერი 2021 წ.		1590440	34282	1504254	4496	511598	12832	3657902

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ანგაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირდაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.
არ მომხდარა ძირითადი საშუალებების ტესტირება გაუფასურებაზე.
საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაგირვებული აქვს ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებები შეადგენს - 690088 ლარს

8. მარაგი

	2021 წ.	2020 წ.
ნედლეული და მასალები		
დაუმთავრებელი წარმოება (მომსახურების ხარჯი)	136320	38003
მზა პროდუქცია		
ჯამი	136320	38003

პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება 3614918 ლარი

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2021 წ.	31/12/2020 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2629192	893971
საეჭვო მოთხოვნების საეჭვო მოთხოვნების	(0)	(5975.00)
პერსონალის მიმართ		
მომწოდებლებზეგადახდილი ავანსები		
წინასწარი გადახდები მოთხოვნები		
დარიცხული შემოსავლებიდან		
ჯამი	2629192	893971

სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება მოიცავს სამედიციონო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურებებისგან მისაღები ჯამურ თანხას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის 2629192 ლარს (2020 წლის ბოლოს 893971ლარს).

10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31/12/2021 წ.	31/12/2020 წ.
ფულადი სახსრები სალაროში	27263	40100
ფულადი სახსრები ბანკში მიმდინარე ანგარიშზე	571406	348798
ჯამი:	598669	388898

11. საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალი შედგენს 2000 ლარს.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31/12/2021 წ.	31/12/2020 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	1456387	297120

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებით მომწოდებლებისათვის გადასახდელი ჯამურ თანხას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის - 1456387 ლარს (2020 წლის ბოლოს 297120 ლარს). სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება კომპანია ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი და ამ იჯარის საშუალო ვადა 2 წელია. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს 2000 ლარი. წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები: 4000 ლარი.

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

13. **მსს ფასს-ზე გადასვლა**

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 22 აგვისტოს.

შპს „სენა-მედი"-ს დირექტორი

გიორგი თოლორდავა

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	598669	388898	358610
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2629192	893971	766641
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	10000	0	0
მარაგები	136320	38003	18725
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	136320	38003	18725
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	54205	18308	206687
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	3657902	3284617	2566787
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	76000	56000
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	117
სულ აქტივები	7086288	4699797	3973567
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	4000	2000	2000
სავაჭრო ვალდებულებები	1456387	297120	291182
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	462025	281062	275098
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	179356	176800
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1315432	1299212	803981
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	869795	0	2000
სულ ვალდებულებები	4107639	2058750	1551061
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2849328	2511726	2293185
გადაფასების რეზერვი	23558	23558	23558
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	103763	103763	103763
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	2978649	2641047	2422506
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2978649	2641047	2422506

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7086288	4699797	3973567
სულ მოკლევადიანი აქტივები	2912110	18308	206687
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	179356	176800

შპს „სენა-მედი“-ს დირექტორი

გიორგი თოლორდავა

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2021**	**31/12/2020**
ნეტო ამონაგები	8594527	4558629
საქონლის გაყიდვიდან	158671	0
მომსახურების გაწევიდან	8408856	4558629
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	27000	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3614918	-802648
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4979609	3755981
სხვა საოპერაციო შემოსავალი	129332	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3851045	-2830040
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-341453	-281637
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-251300	-178963
იჯარის ხარჯი	-24000	-24000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-396351	-222800
სულ საოპერაციო ხარჯები	-4734817	-3537440
საოპერაციო მოგება	244792	218541
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	92810	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	337602	218541
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	337602	218541
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე	0	0

საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	337602	218541
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	337602	218541
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	0	0
მოგება / (ზარალი)	337602	218541
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	337602	218541
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	337602	218541
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2641047	2422506
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2978649	2641047

შპს „სენა-მედი“-ს დირექტორი

გიორგი თოლორდავა

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	209771	30288
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	209771	30288
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	388898	358610
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	598669	388898

შპს „სენა-მედი“-ს დირექტორი

გიორგი თოლორდავა